ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 18 07 2019 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №271-ნ

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიების და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-8 და მე-10 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება უნივერსიტეტის სკოლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დანართი N1-ის შესაბამისად.
2. 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების ადმინისტრირებისთვის ვადები განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დადგინდეს მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.
4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.
5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი N1

2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილები საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის მითითებით

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა:**

საგანმანათლებლო პროგრამა	ადგილების რაოდენობა	ტესტის ტიპი	აკრედიტებული/ ავტორიზებული	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
საქართველოს ისტორია	10	A	აკრედიტებული	2250
ენათმეცნიერება	10		ავტორიზებული	
ქართული ლიტერატურის ისტორია	10		აკრედიტებული	
სამართალი	25	C		2450
საჯარო მმართველობა	25 (ტესტი A – 7, B – 9, C - 9)	A, B, C		2350

2. **ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა:**

საგანმანათლებლო პროგრამა	ადგილების რაოდენობა	ტესტის ტიპი	აკრედიტებული/ ავტორიზებული	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
ბიზნესის ადმინისტრირება	25	B	ავტორიზებული	2250
ეკონომიკა	25			
სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია	25	A	აკრედიტებული	
ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების	20			

შენიშვნა: *გამოცხადებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ჩასარიცხ კანდიდატთა რაოდენობა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდგომ იქნება არანაკლებ 5-ის.*

დანართი N2

2019- 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები

1. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია – 2019 წლის **26 აგვისტო – 4 სექტემბერი**;
2. გამოცდა სპეციალობაში – 2019 წლის **5 სექტემბერი**;
3. გამოცდა უცხო ენაში - 2019 წლის **6 სექტემბერი**;
4. გამოცდის შედეგების გამოცხადება და გასაჩივრება – 2019 წლის **7 - 11 სექტემბერი**;
5. აპელაციის შედეგების გამოცხადება - 2019 წლის **12 სექტემბერი**;
6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 2019 წლის **9 - 14 სექტემბერი**;
7. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2019 წლის **16 სექტემბერი**.

<u>დანართი N3</u>

მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. განცხადება რექტორის სახელზე (შემოთავაზებული ფორმით);
2. ინფორმაცია საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და გამოცდის ტესტის ტიპის თაობაზე;
3. შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, (*2019 წლის კურსდამთავრებულებისთვის დასაშვებია ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე*);
4. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო მოწმობის/სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – ასლი;
7. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობა (ვაჟებმა) - ასლი;
8. ფოტოსურათი (3×4) ელექტრონული ვერსიის სახით CD დისკზე (გვარისა და სახელის დისკზე მითითებით);
9. სტუდენტის სარეგისტრაციო ანკეტა (შემოთავაზებული ფორმით).